საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

29 სექ 2025 წ.

KA000079594230925

№ **25/7819**

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ გიორგი გვარაკიძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

[redacted] მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის შესაძლო ფაქტებზე გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.[1]

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს [redacted] საქმეს. განმცხადებლის განმარტებით, მას არ მისცეს საშუალება, გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელ [redacted] განმარტებით, 2025 წლის 31 მაისს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან[2] გეგმავდა რუსეთის ფედერაციაში წასვლას, თუმცა, არ მისცეს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა და წაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებაში, გამოკითხვის მიზნით.

განმცხადებლის განმარტებით, 2025 წლის 5 ივნისს დაურეკა გამომძიებელს (ვინაობას არ მიუთითებს) ტელეფონის ნომერზე - [redacted] რომელიც იმყოფებოდა თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში, რა დროსაც, მისი შეკითხვების პასუხად განემარტა, რომ ქვეყანას ვერ დატოვებდა. იმავე საღამოს გადაწყვიტა, რომ წასულიყო სომხეთის რესპუბლიკაში, თუმცა საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა კვლავ არ მიეცა.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ორჯერ მივიდა საგამოძიებო ორგანოში გამომძიებელთან (ვინაობას არ მიუთითებს) შეხვედრის მიზნით, თუმცა, გამომძიებელმა იგი არ მიიღო, ამასთან იგი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს.[3] ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის

პროკურორი [redacted] (ვინაობას არ მიუთითებს) შეპირდნენ, რომ მალე მიიღებდნენ ქვეყნიდან ძისი გასვლის თაობაზე გადაწყვეტილებას, თუმცა, უშედეგოდ.

ამის შემდეგ, [redacted] გადმოცემით, 2025 წლის 16 ივნისს, კვლავ სცადა სომხეთის რესპუბლიკაში წასვლა, სადახლოს საზღვრის გავლით,[4] თუმცა, არც ამჯერად მისცეს საზღვრის გადაკვეთის უფლება.

მოქალაქე [redacted] სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა ვიდეოჩანაწერი, რომლის თანახმადაც, პოლიციის უნიფორმაში ჩაცმული მამაკაცი, ვიდეოს გადამღებ პირს (ქალს) განუმარტავს, რომ უნდა წავიდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც განუმარტავენ, თუ რატომ არ უშვებენ საზღვარზე. მოქალაქე პოლიციელისგან ითხოვს განმარტებას მიზეზების შესახებ, თუმცა ეს უკანასკნელი, რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე, მოქალაქეს კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროში ამისამართებს.[5]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია [redacted] საზღვრის კვეთის შეზღუდვასთან დაკავშირებით,[6] თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან სრულყოფილი ახსნა-განმარტება, სახალხო დამცველის აპარატს, არ მიუღია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება დიდი ოდენობით ჩადენილი შესაძლო ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, მოწმის სახით, გამოიკითხა [redacted] [7]

სახალხო დამცველის აპარატს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 ივლისის წერილით, ასევე ეცნობა, რომ [redacted] რესპუბლიკის მოქალაქის, [redacted] მიმართ, დღეის მდგომარეობით, რაიმე სამართლებრივი საფუძვლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე შეზღუდვა, არ არის დაწესებული.[8] **თუმცა, იყო თუ არა დაწესებული [redacted] მიმართ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა კონკრეტულად 2025 წლის 31 მაისს, 5 და 16 ივნისს, აღნიშნულზე ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია.**

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.[9] ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.[10]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, თითოეულ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც.[11] აღნიშნული უფლება არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და შესაბამისობაშია წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებთან.[12]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ პირი, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, ბრალდებულია (მსჯავრდებულია) ამ კოდექსით დადგენილი წესით და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული პასპორტის/დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას.[13]

ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს

გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ.[14]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ბრალდებულისთვის პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულების დაკისრებას. აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად აუცილებელი ნებისმიერი სხვა ღონისძიების განსაზღვრა, მათ შორის, საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვა, არის შესაძლებელი სასამართლოს გადაწყვეტილებით.[15]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.[16]

საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი

„სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2025 წლის 30 ივნისის N019 ბრძანების თანახმად, „სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი“.[17] ამავე ბრძანების თანახმად, „პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე“.[18]

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამრიგად, განმცხადებელ [redacted] და შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, [redacted] სისხლის სამართლის საქმეზე გამოკითხულია მოწმის სტატუსით. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, [redacted] არ არის ცნობილი ბრალდებულად. საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას მიღებული მწირი ინფორმაციით, ასევე გამომძიებელთან კომუნიკაციით, მისთვის გაუგებარი დარჩა, რა მიზეზით არ მისცეს საზღვრის კვეთის შესაძლებლობა 2025 წლის 31 მაისს, 5 და 16 ივნისს.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოთხოვნილი ინფორმაცია სრულყოფილად ვერ მიიღო, [redacted] მიმართ სავარაუდოდ, არ ყოფილა დაწესებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვა 2025 წლის 31 მაისს, 5 და 16 ივნისს და სამივე შემთხვევაში, სავარაუდოდ, უკანონოდ არ მისცეს საქართველოს ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა. ხოლო, ვინაიდან აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაცია სრულყოფილად ვერ მიიღო, საქართველოს პროკურატურის მიერ შესწავლილ უნდა იქნას [redacted] მიმართ არსებობდა თუ არა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვა კონკრეტულად 2025 წლის 31 მაისს, 5 და 16 ივნისს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ქმედებების სამართლებრივი შეფასების მიზნით, აუცილებელია გამოძიების დაწყება და შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ადგილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

1. დაიწყოთ გამოძიება [redacted] მიმოსვლის თავისუფლების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით;
2. გამოძიება დაუქვემდებაროთ პროკურატურის გამომძიებელს, ვინაიდან, აღნიშნული შესაძლო დანაშაული, სავარაუდოდ, ჩადენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლ(ებ)ის მიერ.

ამასთან, გთხოვთ, წინამდებარე წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართის სახით გეგზავნებათ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების ასლები.

დანართი: 19 (ცხრამეტი) ფურცელი და 1 (ერთი) ვიდეოფაილი.

პატივისცემით,

---

[1] წინადადება მომზადებულია [redacted] მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული მასალების საფუძველზე (რეგისტრაციის ნომერი - 5432/25).

[2] საზღვრის კვეთის ადგილის თაობაზე, სახალხო დამცველის რწმუნებულს, ინფორმაცია ტელეფონის საშუალებით მიაწოდა [redacted] ადვოკატმა, [redacted]

[3] აპარატში წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ტელეფონის ეკრანის ე.წ. სქრინშოტები, რომლებიც ასახავს 2025 წლის 14-16 ივნისს უპასუხო სატელეფონო ზარებს ტელეფონის ნომერზე - [redacted]

[4] საზღვრის კვეთის ადგილის თაობაზე, სახალხო დამცველის რწმუნებულს, ინფორმაცია ტელეფონის საშუალებით მიაწოდა [redacted] ადვოკატმა, [redacted]

[5] [redacted] განმარტებით, აღნიშნული ვიდეოჩანაწერი ასახავს 2025 წლის 5 ივნისს, სომხეთის რესპუბლიკაში გაძგზავრების შეზღუდვის ეპიზოდს.

[6] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 25 ივნისის N25/5015, 14 ივლისის N25/5587, 30 ივლისის N25/5975 წერილები.

[7] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 4 ივლისის N MIA 2 25 02107956 და 31 ივლისის N MIA 4 25 02437826 წერილები.

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 ივლისის N MIA 8 25 02390039 წერილი.

[9] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 14, პუნქტი 1.

[10] იქვე, პუნქტი 2.

[11] „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 12, პუნქტი 2.

[12] იქვე, პუნქტი 3.

[13] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 163.

[14] იქვე, მუხლი 164.

[15] იქვე, მუხლი 199, ნაწილი 2.

[16] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 152, ნაწილი 2.

[17] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2025 წლის 30 ივნისის ბრძანება N019, მუხლი 1, პუნქტი 2.

[18] იქვე, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ა“.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი